საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 9 ივნისი, 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/30

აკრედიტაციაზე წარდგენილ სამაგისტრო პროგრამებში: ხელოვნების მენეჯმენტი, საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (დრამის რეჟისურა, თოჯინების თეატრის რეჟისურა) და აუდიო-ვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა) ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2016 წლის 9 ივნისის სხდომისა (ოქმი № 6) და სახვითი, სასცენო და კინოტელეხელოვნების ფაკულტეტის 2016 წლის 9 ივნისის სხდომის (ოქმი № 12) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

■ იმ მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებსაც არ გაუვლიათ კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისას შეთავაზებულ იქნას არჩევითი კურსების მოდული „კულტურის მენეჯმენტი" 4 სასწავლო დისციპლინა 20 კრედიტის ოდენობით;

■ პროგრამის სტრუქტურაში შეტანილ იქნას ცვლილება და ძირითადი სასწავლო დისციპლინის „პროექტის მენეჯმენტი" ნაცვლად შეტანილ იქნას ახალი სასწავლო დისციპლინა: „ფინანსური მენეჯმენტი". პრაქტიკა 10 კრედიტის ნაცვლად განისაზღვროს 5 კრედიტით და დაემატოს საგანი „კვლევისა და სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის მეთოდები". სასწავლო დისციპლინა „ხელოვნების მენეჯმენტი" შეიცვალოს სასწავლო დისციპლინით „ხელოვნების მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები".

2. სამაგისტრო პროგრამაში საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (დრამის რეჟისურა, თოჯინების თეატრის რეჟისურა) შეტანილ იქნას სარედაქციო ცვლილებები, თანახმად № 1 დანართისა.

3. სამაგისტრო პროგრამაში აუდიო-ვიზუალური ხელოვნება (მხატვრული

კინოს რეჟისურა) შეტანილ იქნას სარედაქციო ცვლილებები, თანახმად № 2 დანართისა.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია